შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ООО "КазТрансГаз-Тбилиси"
რეგისტრირებულია
ЗАРЕГИСТРИРОВАНО № 580
"03" 02 2012 წელი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 3

ქ. თბილისი 01.02 2012 წელი

ერთის მხრივ, თბილისის № 31 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა ნიჟარაძის სახით, მოქმედი დებულების საფუძველზე, და, მეორეს მხრივ, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მსხვილ მომხმარებლებთან მუშაობის განყოფილების უფროსის მზია ერქომაიშვილის სახით, მოქმედი სპეციალური მმართველის 2012 წლის 3 იანვრის №2-დ ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. ფორს-მაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების (CPV – 50531200) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს. მომსახურების თვიური ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2. მომსახურების საერთო ღირებულება მოიცავს მომსახურების სრულყოფილად განხორციელებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

3.3. მომსახურების ღირებულება არ მოიცავს დარღვევის გამოსწორებისათვის საჭირო

მოწყობილობ(ებ)ის (ძველი დანადგარ(ებ)ის ახლით შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში), მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ფასს და სამონტაჟო/სარემონტო სამუშაოების ღირებულებას.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის წესი, მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. მიმწოდებლის მიერ ტექნიკური მომსახურების გაწევაში იგულისხმება შემსყიდველის ობიექტზე არსებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობ(ებ)ის დათვალიერება, რომლის შედეგადაც დადასტურებული იქნება მათი გამართული მუშაობა ან გამოვლინდება შესაბამისი დარღვევა.

4.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურება განხორციელდება გათბობის სეზონის (თებერვალი, მარტი, აპრილი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) განმავლობაში, ყოველთვიურად შემდეგი პერიოდულობით:

ა) გეგმიურად, თვეში ერთხელ, დანართ №1-ში მოცემული გრაფიკის შესაბამისად, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

ბ) ზეგეგმიურად, შემსყიდველის წერილობითი ან სატელეფონო (ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერია 2 37-16-63) შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

4.3. მომსახურება განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული ,,გაზის სისტემის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნებისა" და მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

4.4. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

4.5. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ დგება მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად, რომელიც ეგზავნება შემსყიდველს.

4.6. შემსყიდველი მომსახურების ღირებულებას იხდის მხოლოდ გათბობის სეზონის განმავლობაში (თებერვალი, მარტი, აპრილი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი). მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე ამ პუნქტში მითითებული თითოეული თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.7. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.8. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად შემსყიდველის მისამართზე (ქალაქი თბილისი ა. ბიბინაშვილის ქ. 17).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების

დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) გაწიოს მომსახურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შემსრულებლის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით დამტკიცებული წესების შესაბამისად;

გ) მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის, ნორმის, სტანდარტის დაცვა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებით შესასრულებელ სამუშაოებთან მიმართებაში;

დ) წარმოუდგინოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი;

ე) მომსახურების გაწევის შედეგად დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეადგინოს აქტი, რომელშიც დაფიქსირდება დარღვევის არსი, მისი გამომწვევი მიზეზ(ებ)ი და გამოსწორებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი, აქტის ერთი პირი რეაგირებისათვის გადასცეს შემსყიდველს.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის წარმომადგენლის დაშვება შესაბამის გაზის მოწყობილობებთან დღე-ღამის ნებისმიერ დროს;

ბ) დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულებიდან გამომდინარე და/ან მასთან დაკავშირებულ მის ვალდებულებებთან;

გ) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს [illegible]

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

8.4. ფორსმაჟორული გარემოებების ერთ თვეზე მეტი დროით არსებობის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

8.5. ხელშეკრულების მე-8 მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ფინანსური ვალდებულებებისგან, რომლებიც წარმოიშვა ფორსმაჟორული გარემოებების დადგომამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ამასთან ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში 2012 წლის 01 თებერვლიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"	თბილისის N34 საჯარო სკოლა
ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა, ს/კ 205129617, ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22; ა/ა GE 85 BG 0000000 148541200	მისამართი: ა. ჩიქობავას 17 ს/კ 202887652 ბანკი: ს.ს. "პროკრედიტი ბანკი" (საქართველო) ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE17LB0121111819726 4000
მ. ერქომაიშვილი	მ. ნიკოლაძე

დანართი №1

2012 წ. "1" 02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 580 ხელშეკრულებაზე

ქ. თბილისი

2012 წ. «1» 02

ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების გრაფიკი

თვე	თარიღი
თებერვალი	6 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით
მარტი	5 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით
აპრილი	5 აპრილიდან 18 აპრილის ჩათვლით
ოქტომბერი	8 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით
ნოემბერი	5 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით
დეკემბერი	10 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "ყაზტრანსგაზ-თბილისი"

_____ მ. ერქომაიშვილი

შემსყიდველი

ქალაქ თბილისის N31 საჯარო სკოლა

_____ ნ. ნიკურაძე